



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N19

ქ. მარნეული

25.10.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭორძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, რამიზ გიულმამედოვი.

სხდომას არ ესწრებოდა: ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, გივი ქველაძე, ქამილ ალიევი, რაფიკ ჯაფაროვი.

სხდომას ესწრებოდა: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N03/12144 წერილის განხილვის შესახებ.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N4425-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორძემ და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში შესატანი ცვლილებები, მცირდება ასიგნება 11,4 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა ნაწილდება

შემდეგნაირად – 6,0 ათასი ლარი ავადმყოფთა სოციალურ დაცვაზე და 5,4 ათასი ლარი სასაფლაოების და სარიტუალო სახლების მოწყობა-რეაბილიტაციაზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N03/12144 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის მიმდებარე ტერიტორიის მოსაპირკეთებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 23 ოქტომბრის N03/12100 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“ ითხოვს 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის კორექტირებას, (შედის ცვლილება კულტურის ცენტრის 2017 წლის ხარჯთაღრიცხვაში – ემატება შტატგარეშე მომუშავეთა მუხლი და სახელფასო ფონდიდან აღნიშნულ მუხლს ემატება 1 100 ლარი), რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N03/12138 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 24 ოქტომბრის N4425-03 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მტკიცდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის ქუჩა N23“-ზე მისაკუთვნილებელი ფართი და საზღვრები: მიწის ნაკვეთის ფართი – 2-94 კვ.მ., განაშენიანების ფართი შენობა 01-659კვ.მ; 02-15 კვ.მ; 03-15კვ.მ; 04-15კვ.მ; 05-18კვ.მ; 06-18კვ.მ; 07-16კვ.მ; 08-17კვ.მ; 09-16კვ.მ; 10-17კვ.მ; 11-24კვ.მ; 12-15კვ., რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეცხრამეტე რიგგარეშე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი